

ნინო დათეშიძე, მარინე ოსაძე

### ნომენკლატურულ სახელწოდებათა სემანტიკურ-ორთოგრაფიული ანალიზი

ნომენკლატურული დასახელებები სამეცნიერო ენის განუყოფელი ნაწილია. თითქმის ყველა დარგში არსებობს უამრავი ცნება და ტერმინი, რომლებიც აღნიშნავს სპეციალურ ტექნიკურ დანადგარებსა თუ საგნებს, აპარატურას, ამასთან, მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება, სპეციალისტები ძალიან დიდ სირთულეებს აწყდებიან მათი სახელდებისას, რთულია მათი კლასიფიკაციაც განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დგება ერთდროულად სხვადასხვა დარგობრივი ველის მოწესრიგება, მისი სისტემატიზება.

თავდაპირველად გვინდა დავახასიათოთ ნომენკლატურული ერთეულები, განვსაზღვროთ მათი ადგილი ტერმინოლოგიურ სისტემაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ნომენკლატურული სახელწოდებებისა და ტერმინოლოგიურ სისტემაში მათი ადგილის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ ნომენკლატურას, ზოგადად, ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც მას ტერმინებისაგან მკვეთრად მიჯნავს. სამეცნიერო ლიტერატურაში ნომენკლატურად მიჩნეულია ყველა სახეობისა თუ ქვესახეობის სახელწოდებათა ერთობლიობა (ღამბაშიძე, 1988, 75).

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს და ენათმეცნიერთა შორის დაპირისპირების მიზეზი ხდება ნომენკლატურის ადგილი ტერმინოლოგიურ სისტემაში, კერძოდ, რომელ დარგს მიეკუთვნება იგი, არის თუ არა ის ტერმინოლოგიის ნაწილი.

მეცნიერულად ნომენკლატურული საკითხები პირველად შეისწავლეს ვ. ო. ვინოკურმა და ა. ა. რეფორმატსკიმ გასული საუკუნის 30-იან წლებში. ვინოკური მიაჩნდა, რომ ტერმინი აზროვნების შედეგი იყო და არაფერი საერთო არ ჰქონდა ნომენკლატურასთან, რომელიც, მისი აზრით, „აბსტრაქტულ და პირობით სიმბოლოთა სისტემას“ წარმოადგენდა. ნომენკლატურული დასახელება, ვინოკურის თვალსაზრისით, რაიმე საგნის ან ნივთის იარლიყი სიმბოლოა, მისი არსი ამ შემთხვევაში უგულებელყოფილია, ნომენკლატურისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს (ვინოკური, 1939, 8).

მსგავსი შეხედულება აქვს ცნობილ რუს ტერმინოლოგ რეფორმატსკის. მისი აზრით, ტერმინი და ტერმინოლოგია, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ცალკეული სამეცნიერო სფეროს ცნებათა სისტემასთან, ხოლო ნომენკლატურა – ცალკეული ობიექტების ნიშანდებასთან. ნომენკლატურა მხოლოდ სამარკო ნიშანია ამ ობიექტებისა, სწორედ ამიტომ ნომენკლატურა შეიძლება იყოს ანბანის ასოების (**ვიტამინი A, ვიტამინი B...**), ასევე რიცხვების (**МАГ-5, МАГ-8**) ან სხვა ნიშნისმიერი პირობითი ნიშნების თანამიმდევრობა. ნომენკლატურა უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამეცნიერო ცნებებთან, ამიტომ ის არ აღნიშნავს ცნებებს. რეფორმატსკი მიჯნავს ტერმინოლოგიას და ნომენკლატურას. მისი აზრით, სიტყვები: **ზღვა, ყურე, ქედი, მთა** და ა. შ. ტერმინებია და არა ნომენკლატურული დასახელებები. ნომენკლატურად მას მიაჩნია: „**ვოლგა**“ (მდინარის სახელწოდება), **მოსკოვი** (ქალაქის სახელწოდება), ასევე ბოტანიკაში – **მცენარე, ხე, წიწვოვანი, ფოთლოვანი** ტერმინებია, ხოლო **ივან-და-მარია, დედა და დედინაცვალი** (мать и мачеха), **თეთრყვავილა** ნომენკლატურაა... (რეფორმატსკი, 1961, 46-62).

ნომენკლატურისა და ტერმინების გამიჯვნის საკითხს საგანგებოდ ეხება რუსი ტერმინოლოგი თ. კანდელაკი. მას მთავარ პრობლემად მიაჩნია ნომენკლატურისა და ტერმინის ურთიერთმიმართება. ტერმინთა მნიშვნელობის დასაზუსტებლად ის გამოყოფს ცნებათა საკლასიფიკაციო ჯგუფებს: ცნებებს ანაწილებს გვარეობით და მასზე დაქვემდებარებულ სახეობით ცნებებად. ნომენკლატურის მნიშვნელობის დადგენისას ის ყურადღებას ამახვილებს ცნების რაიმე მნიშვნელოვან და კონკრეტულ მახასიათებელზე. ნომენკლატურულ სახელწოდებებში სახეობითი ნიშნის ნაცვლად მოცემულია მითითება ზოგ ინდივიდუალურ ნიშანზე. მისი აზრით, ნომენკლატურული სახელწოდებები აღნიშნავს მრეწველობის მასობრივ პროდუქტებს, რომლებიც დამზადებულია ერთი და იმავე ნიშნის მიხედვით რამდენჯერმე, მაგალითად, ნედლეულის, მანქანების, მანქანის ნაწილების, მექანიზმების სახელები და ა. შ. (Канделаки, 1970, 24-30).

როგნედა ღამბაშიძის თვალსაზრისით, ნომენკლატურა ცალკე მდგომარეობაშია, რომელიც გამოხატავს სპეციფიკურ ობიექტებს არა მათი შესაბამისი ცნებების გვარეობით-სახეობითი ურთიერთობების მიხედვით, არამედ ერთმანეთისაგან განსხვავებული კერძო ნიშნებით, იქნება ეს სერიული გამოშვება რაიმე სამრეწველო ან სასურსათო პროდუქციისა, თუ მანქანების, აგრეგატების, თვითმფრინავების, ტე-

ლევზორების, სარეცხი მანქანებისა და ა. შ. ის მიიჩნევს, რომ ნომენკლატურული დასახელებები ცნებებს არ გამოხატავს, თუმცა, გარკვეულწილად, მაინც ცნებებთან არის დაკავშირებული (ლამბაშიძე, 1989, 83-86).

ერთი შეხედვით, თითქოს მარტივია გაიმიჯნოს ტერმინოლოგია და ნომენკლატურა ერთმანეთისგან, მაგრამ ხშირად ჩნდება წინააღმდეგობა. რ. ლამბაშიძე სწორედ ამ საკითხზე მსჯელობს და შენიშნავს, რომ **მოსკვიჩი-408, ტუ-134 ან ვიტანმინი C, შავი ზღვა, კასპიის ზღვა, ხრამჰსის ელექტროსადგური** და ა. შ. ნომენკლატურაა, ხოლო **ავიაცია, საავიაციო ტექნიკა, მანქანა, დეტალი, ზღვის ჰავა** ტერმინებია (ლამბაშიძე, 1989, 81-82).

ნომენკლატურის საკითხს დაკავშირებით ენათმეცნიერთა განსხვავებული დამოკიდებულება, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეპირობებულია მრავალი ფაქტორით. ნომენკლატურის მკვლევრები მხოლოდ ერთ რამეზე თანხმდებიან – ეს არის მისი განმარტება, რომ ნომენკლატურა არის ერთი და იმავე საგნის ან პროცესების ერთობლიობა, რომელშიც საგნები და მოვლენები საერთო საკლასიფიკაციო ნიშნით ერთიანდება.

ჩვენი აზრით, ნომენკლატურა ტერმინთა სისტემის ნაწილია და მის შემადგენლობაში შედის. ეს არის ქვესისტემა, რომელიც მოიცავს მხოლოდ ტერმინ-დასახელებებს და, ბუნებრივია, მისი ადგილი ტერმინოლოგიაშია. ერთ-ერთი რთული საკითხია, დაუზუსტდეს, რომელი სახელწოდებები მივაკუთვნოთ ნომენკლატურას, როდესაც საუბარია ქიმიაში ქიმიურ დასახელებებზე, ბოტანიკაში კი მცენარეების სახელწოდებებზე და ა. შ. ენათმეცნიერები დავობენ, რა ვუწოდოთ ქიმიურ, ბოტანიკურ სახელწოდებებს და გეოგრაფიულ დასახელებებს, ტერმინოლოგია თუ ნომენკლატურა?

ნომენკლატურული დასახელებები ტერმინთა სისტემის შემადგენელი ნაწილია. ცნობილია, რომ ტერმინთა კლასიფიკაცია ხდება მეცნიერების დარგების მიხედვით, თითოეულ დარგში კი გამოიყოფა სხვადასხვა ქვეჯგუფი, რომლებსაც საფუძვლად უდევს გვარეობით-სახეობითი კლასიფიკაცია, მაგალითად **მანქანა, ასაღები მანქანა, ზამბასაკრეფი მანქანა...** ამ ტერმინებს შორის გვარეობით-სახეობითი მიმართება არსებობს, **მანქანა** გვარეობითი ტერმინია, ხოლო **ასაღები მანქანა** და **ზამბასაკრეფი მანქანა** – სახეობითი.

ნომენკლატურულ დასახელებებში დარღვეულია გვარეობით – სახეობითი მიმართება. საფიქრებელია, რომ ნომენკლატურა მხოლოდ

სახეობითი ცნებების თემატიკური ჯგუფების ჩამონათვალია. თუ აშკარად იკვეთება გვარეობით – სახეობითი ურთიერთობა, მაგალითად, **ზღვა – დიდი ზღვა, განაპირა ზღვა, გეოსინკლინური ზღვა, კუნძულ-თმორისი ზღვა**, ისინი ტერმინებს მიეკუთვნება, ხოლო სახელწოდებათა თემატური ჩამონათვალი, რომლებშიც მხოლოდ სახეობებია გაერთიანებული, მაგალითად, **შავი ზღვა, ბალტიის ზღვა, კასპიის ზღვა, ხმელთაშუა ზღვა** ნომენკლატურულ დასახელებებს უნდა მივაკუთვნოთ. ამ თვალსაზრისის ისიც ამყარებს, რომ დარგობრივ ლექსიკონებში არსად არ დასტურდება საკუთარი სახელები. გეოგრაფიის ტერმინოლოგიურ ლექსიკონში ზღვასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი სახეობები და არა ჰიდრონიმები.

ნომენკლატურული სახელწოდებები სალიტერატურო ენის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს გახლავთ ტრანსპორტის, წამლების, სავაჭრო პროდუქტების დასახელებები. მათ შორის არის არაერთი ჯგუფი უცხოური სავაჭრო ნიშნებისა, რომელთაც თავისი ისტორია, ნომენკლატურული მნიშვნელობა აქვს. ყოველი მათგანი საშუალებას გვაძლევს დავაჯგუფოთ ისინი მწარმოებელი ქვეყნის, საქონლის სამომხმარებლო თვისებების მიხედვით. საერთო წესის თანახმად, ნასესხები სიტყვა მიმღები ენის ნაწილი ხდება, მის ლექსიკურ სტრუქტურას ერწყმის და წყვეტს კავშირს წყარო ენასთან. ნასესხები ნომენკლატურული სახელწოდებები კი, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ასოციაციურად უკავშირდება წყარო ენას.

ნომენკლატურული სახელწოდებები უნდა გაიმიჯნოს:

1. კომერციული ნომენკლატურა – სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი პრაგმატონიმების, პრაგმონიმების სახელწოდებითაა ცნობილი (დამბაშიძე, 1986, 87, ტაბიძე, 1988, 352). ესენია სავაჭრო ნიშნების სახელწოდებები: **ტოიოტა, მაზდა, ჰონდა, სონი, კოდაკი, კასიო...**

2. ტექნიკური ნომენკლატურა, რომელიც მოიცავს ნაკეთობებს, მოდელებს, ნაკეთობათა სხვადასხვა ტიპს, რომლებიც ნომრებთან ერთად არის წარმოდგენილი, მაგალითად, **მანძილსაზომი – LRV400 CI, სატელეფონო კაბელი ТПП 10Х2Х05, დურბინდი – НБ-7, დურბინდი – М-992, ონკანი – А-25, მრიცხველი – ИДЖУ-40** და ა. შ.

გამიჯნულია ასევე ნომენკლატურის გამოყენების სფეროებიც. პირობითად ისინი შეიძლება ასე დაიყოს: კომერციული ნომენკლატურა, რომელიც გვხვდება საერთო სალიტერატურო ენაში. მას გამოყენების ძალზე ფართო არეალი აქვს. საკომუნიკაციო ენაში, უმეტეს-

წილად, გამოიყენება სახელწოდებების ძირითადი ელემენტები, ციფრების, აბრევიატურებისა და სპეციალური სიმბოლოების გარეშე, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ამ უკანასკნელ დროს მობილური ტელეფონების ინდუსტრიის განვითარებამ ტექნიკურ მახასიათებლებსაც გაუფართოვა მოხმარების არეალი, მაგალითად, აიფონების ახალი მოდელები სპეციალური ტექნიკური მახასიათებლებით განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგალითად, **აიფონი 5S**, **აიფონი 5C**, **აიფონი 3GS**, **სამსუნგი გალაქსი S4**, **სამსუნგი გალაქსი S5** და ა. შ.

კომერციული ნომენკლატურის სამომხმარებლო სივრცის გაფართოებას ხელი შეუწყო მასობრივი კომუნიკაციისა და რეკლამის ენამ, მაგალითად, ტელევიზიით ხშირად გაიგონებთ: „გადაცემის სპონსორია **„კია მოტორს ჯორჯია“**, „იმოგზაურეთ ჩაი **„მარიამთან“** ერთად“ და ა. შ.).

რაც შეეხება ტექნიკურ ნომენკლატურას, რომლებსაც ძირითად დასახელებებთან ერთად დართული აქვს სპეციალური ნომრები, აბრევიატურები და სიმბოლოები, მათი გამოყენების სფერო უფრო შეზღუდულია. ისინი გამოიყენება ტექნიკურ დოკუმენტაციებში და მხოლოდ სპეციალისტებისთვის არის გასაგები. სახელწოდებებისა და დამატებითი კომპონენტების ამგვარ კომბინაციას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ძირითადი სემანტიკური დატვირთვა, რა თქმა უნდა, სიტყვიერ დასახელებებს ენიჭება, ხოლო სანომრე ნიშნები კი გარკვეული დამატებითი ინფორმაციის მატარებელია და მხოლოდ ვიწრო მომხმარებლისთვის თუ არის გასაგები.

საგნები ან საგანთა ჯგუფი შეიძლება განსხვავდებოდეს ფორმით, დანიშნულებით ან სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლით. ხშირად მათი მნიშვნელობა შეიძლება დაშიფრულიც კი იყოს. უმეტეს შემთხვევაში ციფრები და ასოითი ნიშნები მიუთითებენ:

გაუმჯობესებულ ხარისხს, მის მოდერნიზებას: **Cigal II**, **Cigal III**, **Cigal IV** (ბრეზენტის ქსოვილი);

გამოშვების თარიღს: სარეცხის ფხვინილი **Sunil – 66**, ფეხსაცმელი **პერსანტინ – 75**

ყველა შემთხვევისთვის შერჩეულია სპეციალური აღნიშვნები, რომლებიც მიჯნავს ერთმანეთისგან ერთი და იმავე სახელწოდების საგანს და განსაკუთრებულ ქვეჯგუფებში აერთიანებს.

სტატიაში საანალიზო მასალად გამოყენებულია თავდაცვის სამინისტროს სასაქონლო მარაგების მონაცემთა ბაზაში არსებული ნომენკლატურული დასახელებები. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა

ხელსაწყოს, დანადგარისა და საბრძოლო იარაღის ჩამონათვალი, რომელთა კლასიფიკაცია, ვფიქრობთ, რომ ზუსტია და სემანტიკურ ჯგუფებად არის წარმოდგენილი, მაგალითად, „სამზარეულო ინვენტარი“, „ავეჯი“, „საკანცელარიო ნივთები“, „საწვავი“, „საზომი ხელსაწყოები“, „საზენიტო დანადგარები, ავტოტექნიკა“ და ა. შ.

ჩვენ გავანალიზეთ თითქმის ყველა კლასისა და ქვეკლასის, ქვეჯგუფების ნომენკლატურული დასახელებები და გამოვყავით ყველაზე ზოგადი ტიპები, კერძოდ, უნდა გამოიყოს:

1. სასაქონლო მარკები, ეს გახლავთ მანქანების, საბრძოლო იარაღების, ტექნიკური აღჭურვილობის სამარკო ნიშნები: **მერსედეს ბენცი –Mercedes-Benz, ფოლკსვაგენ გოლფი – Volkswagen Golf, ავიაბომბი БЕТА, ვაზნა СИЛУЕТ-ი, ვაზნა ОХОТНИЧЬЙ.**

2. ტერმინები ტექნიკური მახასიათებლებით, რომლებიც ასოციფრებით არის გამოხატული: **სატელეფონო კაბელი – П-274, მანძილსაზომი – DME-TLM300, მრიცხველი – ШЖУ-40, დურბინი – М-992.**

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ტექნიკური ნომენკლატურის ყველაზე მნიშვნელოვან ნიშან-თვისებაზე, რომელიც გამოყოფს მას სხვა დანარჩენი ნომენკლატურული ერთეულისაგან. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ტექნიკური მახასიათებლები, ანუ ის ერთეულები, რომლებიც არა მარტო აღნიშნავს კონკრეტულ საგანს და გამოყოფს მას საერთო კლასიდან, არამედ აღწერს და ანიჭებს კონკრეტულ პროფესიულ სივრცეში მიღებულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

ამგვარი ტექნიკური ნომენკლატურული სახელწოდებები უფრო ინფორმაციულია, აღწერითი ელემენტები – ასოები, ციფრები – მათში უფრო ჭარბობს, მაგალითად, **მანძილსაზომი ARV** (ინგლ. **A**rmed **R**obotic **V**ehocle) მრავალფუნქციური რობოტიზებული საბრძოლო მოწყობილობა; **მანძილსაზომი ARV-RSTA** (ინგლ. **R**econnaisance, **S**urveillance and **T**arget **A**cquisition) დასაზვერი, დასაკვირვებელი და მინის ამოსაცნობი საბრძოლო მოწყობილობა, **სატელეფონო კაბელი ТРП 1x2x0,4** სატელეფონო მანაწილებელი სადენი, რომელშიც

Т – телефонный

Р – распределительный

П – провод

1 – აღნიშნავს მის გამძლეობას;

2 – აღნიშნავს სადენის რაოდენობას კაბელის შიგნით;

0,4 – აღნიშნავს მის დრეკადობას<sup>1</sup>.

ყველა მოცემულ მაგალითში ასოითი გამოსახულება კონკრეტული ცნების აღმნიშვნელი ტერმინია. ხშირად ის რთული ტერმინოლოგიური შესიტყვების შემოკლებული ფორმაა, აბრევიატურა. ამგვარად, საერთო საკლასიფიკაციო სისტემაში, მაგალითად, მანძილსაზომების ან სატელეფონო კაბელების ჩამონათვალში, ეს დასახელებები ასოითი და რიცხვითი ნიშნებით განსხვავდება.

რიცხვითი მაჩვენებელი ანიჭებს საგანს ამა თუ იმ თვისებას, ის უშუალოდ არ უკავშირდება ცნებას და მის აღმნიშვნელ ტერმინს, არამედ მისი მახასიათებელია, რომელიც რაიმე დამატებით თვისებაზე მიუთითებს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დასახელებების სტრუქტურა ძალიან რთულია და არაერთგვაროვანი. გრაფიკული და რიცხვითი სიმბოლოები ერთმანეთს ენაცვლება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მოწესრიგებული სტრუქტურული ერთეულებია, რომელშიც თითოეულ პარამეტრს თავისი სემანტიკური დატვირთვა აქვს. საგნების აღწერისას მოცემულ სქემებში შესაძლებელია რომელიმე პარამეტრი შეიცვალოს, მაგალითად, **სატელეფონო კაბელი ტრп 1Х2Х0,4** შეიძლება შეიცვალოს სატელეფონო კაბელ **ტრп с**-ით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მივიღებთ უკვე სხვა ნომენკლატურულ დასახელებას.

მასალაზე მუშაობისას არაერთი პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, კერძოდ, გამოვლენილი ჯგუფები წარმოაჩენს ამგვარი ტერმინ-დასახელებების ორთოგრაფიულ სირთულეებს.

ნომენკლატურული ტერმინების ორთოგრაფიის საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი და ნორმებიც დღემდე დაუდგენელია.

წარმოდგენილ მასალაში ნომენკლატურული სახელწოდებების ტექნიკური მახასიათებლების აღმნიშვნელი ასოები ხან ლათინური და ხან რუსული ასოებითაა გადმოცემული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ასოები ზოგჯერ აბრევიატურებს წარმოადგენს, ხან კი ისინი შეიძლება პირობითი ნიშანი იყოს. მასალაში ეს ასოები ქართულად გაფორმებულები გვხვდება, მაგალითად, **ონკანი აკტ-32, მრიცხველი სჟშ-1000, მრიცხველი შჟუ-10-1.6.**

<sup>1</sup> ინფორმაცია მოძიებულია ინტერნეტრესურსებში.

საყურადღებოა, როგორ გაფორმდეს ამგვარი ნომენკლატურული დასახელებები. ეს საკითხი მოსაგვარებელი და შესასწავლია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნომენკლატურა, როგორც ერთი ენობრივი სისტემა, მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ კვლევას. ვგულისხმობთ როგორც ლინგვისტიკურ, ისე ექსტრალინგვისტიკურ ასპექტებს.

მასალის გაანალიზებისა და ძირითადი ყალიბების მიხედვით შევიმუშავეთ ამგვარი ნორმა:

1. ტერმინ-დასახელებები, რომლებიც უცხო წარმომავლობის სახელწოდებებია და წარმოდგენილია ასო-ციფრების გარეშე, ანუ მიეკუთვნება კომერციულ ნომენკლატურას, შესაძლებელია გაფორმდეს ქართულად, მაგალითად, **ტოიოტა, სონი, მიცუბიში, ჰონდა, კრაზი...** ამ სახელწოდებებშიც ცალკე უნდა დადგინდეს **ლენდ როვერისა და მერსედეს ბენცის** ტიპის დაწერილობა – დაიწეროს ერთად, ცალ-ცალკე თუ დეფისით? ამ სახელწოდებების ორთოგრაფიის საკითხი რთულია, რადგან დასაზუსტებელია, დასახელებები საკუთარია თუ საზოგადო, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ტრანსლიტერაციის საკითხებსაც. ამ ყალიბის ორთოგრაფიის საკითხები ცალკე კვლევას მოითხოვს.

2. ნებისმიერი პირობითი აღნიშვნების თანმიმდევრობა, რომლებიც შეიძლება გამოიხატებოდეს ასოებით, რიცხვებით ან ასო-რიცხვებით, ტექნიკურ ნომენკლატურას წარმოადგენს. ამგვარი სიმბოლოები მნიშვნელოვან და საჭირო ინფორმაციას მოიცავს დაინტერესებულ პირთათვის. ისინი ამა თუ იმ საგნის დამატებით მახასიათებელს გულისხმობს.

როგორც წარმოდგენილი მოდელებიდან ჩანს, საანალიზო მასალაში აქაც თავს იჩენს არაერთგვაროვანი დაწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები ზოგჯერ ქართული, რუსული და ლათინური ასოებითაა გაფორმებული. როგორ დაიწეროს, მაგალითად, **მრიცხველი შუ-40, დურბინი HB-7, მანძილსაზომი PRO-600**. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ასოებს ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორიც რიცხვით გამოსახულებას, ანუ ერთგვარი სიმბოლოებია. ამდენად, უფრო სწორი იქნებოდა, რომ ტექნიკური ნომენკლატურა, რომელიც მნიშვნელოვანია სპეციალისტებისათვის და დოკუმენტაციებშია ფიქსირებული, უნდა გაფორმდეს იმ ენის ასოების მიხედვით, რომლის ასო-ნიშნებიცაა მოცემული შესაბამისი საგნის მწარმოებელი ქვეყნის სავაჭრო ნიშნებში.

## ლიტერატურა

**ტაბიძე, 1988** – მანანა ტაბიძე, ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში, ქსკს, VIII, თბილისი, 1988.

**ღამბაშიძე, 1986** – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის პრინციპები, თბილისი, 1986.

**ვინოკური, 1939** – Винокур Г. О., О некоторых явлениях словообразования в русской технической терминологии // Труды Московского института истории, философии и литературы – М., 1939, т. 5, с. 3-54.

**კანდელაკი, 1970** – Канделаки Т. Л., Значения терминов и системы значений научно-технических терминологии // Проблемы языка науки и техники. Логические, лингвистические и историко-научные аспекты терминологий. – М., 1970. – с. 24-30.

**რეფორმატსკი 1961** – Реформатский А. А., Что такое термин и терминология, // Вопросы терминологии, М., 1961.

**Габдуллина А. Х.**, Заимствование номенклатурных обозначений из японского языка: прагматический аспект, Вестник Челябинского государственного университета, 2011, № 23 (239), Филология, Искусствоведение, Вып. 57, С. 130 – 132.

**Соболева Т. А. Суперанская А. В.**, Товарные знаки, М., 1986.

**გეოგრაფიის ტერმინოლოგია** (რუსულ -ქართული და ქართულ – რუსული), თბილისი, 1967.

**Nino Dateshidze, Marine Osadze**

### **Semantic-orthographical Analysis of Nomenclatural Denotations**

#### **Summary**

The article describes the linguistic matters of nomenclatural denotations and their semantic and structural analysis. Nomenclature is the part of the system of terminology, this is the subsystem, which includes only term-names.

The article represents the structural models of nomenclatural denotations as well as the discussion of orthographical questions. Nomenclatural denotations of rate of inventory of the Ministry of Defence are utilized as the material for the analysis.